ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4321520

ნომერი: AR1651575

თარიღი : 21.12.2018

გაცემის თარიღი : 27.12.2018

გაცნობის თარიღი : 27.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 21ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ღვინაძე პ/ნ 01031000590
- ოეტრე ქავთარაძის 20დ

ორგანიზაცია:

- შპს ველლ ჰაუზ კოდი: 405156799

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - ატვირთული დოკუმენტაციის მიხედვით შშმ პირთა პანდუსი არასწორად არის წარმოდგენილი, კერძოდ არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის 06.01.2014 წ. #41-ე დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პანდუსის მოწყობისას იხელმძღვანელეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 06.01.2014 წ. #41-ე დადგენილების მე-2 თავის მე-3; მე-4; მე-5 მუხლით. ზემოაღნიშნულის შესაბამისად შეასწორეთ დოკუმენტაცია. მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოადგინეთ პანდუსის მოწყობის ესკიზური ნახაზი (გეგმა, ჭრილი ან ფასადი), ყველა გაბარიტული ზომის მითითებით.

ასევე ვინაიდან აღნიშნული განაცხადით AR1651575 ითხოვთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობას, ფოტომონტაჟიდან ამოღებულ იქნეს AR1645790 განაცხადით შეთანხმებული საპროექტო საჩრდილობელი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.